

ასევე შედიოდა საფრანგეთის შესახებ მსჯელობების რეპრეზენტატიურობის დადგენა და მათი, როგორც „აქსიოლოგემების“ - ფრანგული ეროვნული აქსიოლოგის ნიშნებისა და იმავდროულად ფრანგულ ენაზე მოლაპარაკეთა იდენტურობის მარკერების შინაარსობრივი ანალიზი.

**Larisa Vikulova, Evgenia Serebrennikova**  
**Axiosphere and its Reflection in Identifiable Discussion of a Person**  
**Summary**

This article is devoted to the development of the notion of axiosphere within the framework of current anthropological linguistics. It takes into account the ideas of language philosophy, linguistic conceptology, as well as cultural linguistics. The relevant aspects of axiosphere studies which are connected to the changes happening within a culture and those that influence the processes by which a person identifies himself within a given society are distinguished; basic definitions are given, the processes of self identification are described, and the regulatory and pragmatic role of axiosphere is established. The objective of this analysis was to determine the representative estimations about France and the subsequent content analysis as being ‘axiologemes’ – French national axiosphere indicators as well as markers of communicants identity.

**მაია თევზაძე**  
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

**ნინო სანაია**  
**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი**

**კულტურათაშორისი კომუნიკაციის რიგ პრობლემათა აქტუალობა**  
**თანამედროვე სამყაროში**

ეკონომიკის, მეცნიერების, განათლების გლობალიზაციის პროცესის თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო კონტაქტები გახდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივი ფაქტი. თუმცა ამ დროს მიმდინარე კულტურათაშორისი კომუნიკაციის პირობებში ადამიანი აწყდება რიგ სირთულეებს, რომელთა შორის ენობრივი განსხვავება სრულიად არ არის ერთადერთი.

არსებობს ორი ძირითადი მიზეზი იმისა, თუ რატომ არის უცხო ენების ცოდნა აუცილებელი: 1) საწარმოთა გლობალიზაცია – ერთობლივი მუშაობის, კოლეგებთან საქმიანი კომუნიკაციის საჭიროება; 2) იმიგრაციის გაზრდა – სხვაგან თუ საკუთარ ქვეყანაში, აუცილებელია სტრუქტურებისა და მცდარი შეხედულებების გადალახვა და იმ უნარის გამომუშავება, რომელიც ჰარმონიული ურთიერთობების დამყარების საშუალებას იძლევა.

კულტურული მრავალფეროვნება დამახასიათებელია ადამიანთა საზოგადოებისათვის, მრავალფეროვნება კაცობრიობის მამოძრავებელი ფაქტორია. უცხო მიმართ ინტერესი ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების საფუძველს, თუმცა ეს ცვლილებები შეიძლება ყოფილიყო როგორც მშვიდობიანი, ასევე ძალადობრივი.

კულტურათა მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და ხელშეწყობის პროცესი საკმაოდ ნელი პროცესია, მაგრამ საბედნიეროდ იგი პროგრესირებს, როგორც ამას მოწმობს ევროკავშირისა და ევროსაბჭოს პოლიტიკა, მიმართული სწორედ კულტურული მრავალფეროვნების დაცვისაკენ და რომლის მიხედვითაც კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს კაცობრიობის საერთო მონაპოვარს, ინოვაციების, კრეატიულობის წყაროს.

როგორც ეთნოლინგვისტური კვლევებიდან ჩანს, ეროვნებათაშორისი ურთიერთობების პრობლემები პირდაპირ არის დაკავშირებული ენობრივი ცნობიერების თემასთან. კონკრეტული ეთნიკური კულტურის მატარებელი ფლობს ცნობიერებას, რომელიც შედგება მოცემულ კულტურაში არსებული წარმოდგენებისა და ხატებისაგან.

დექსიკურ ერთეულებთან ასოცირებული ხატები და წარმოდგენები გამოიყენება კომუნიკანტების მიერ აზრის ჩამოყალიბებისათვის მესიჯის კოდირებისა თუ დეკოდირების

პროცესში. ენის ხმარებისას ურთიერთგაგების მისაღწევად აუცილებელია, რომ კომუნიკანტები ფლობდნენ როგორც ცოდნას გამოყენებული ენის შესახებ, ასევე შესაბამის ცოდნას სამყაროს შესახებ ცნობიერების ხატების ფორმით. ორი კულტურის წარმომადგენელი ერთმანეთს გაუგებს იმდენად, რამდენადაც ერთმანეთს ჰგვანან მათი სამყაროს ენობრივი ხატები. ამ ხატებს შორის დიდი განსხვავება შეიძლება გახდეს მიზეზი გარდაუვალი გაუგებრობებისა კულტურათაშორისი ურთიერთობების პროცესში. ამგვარად, ენობრივი ცნობიერებების მსგავსება სამეტყველო ურთიერთობების აუცილებელი წინაპირობაა, მათი არასრული მსგავსება არის ხოლმე კომუნიკაციური კონფლიქტის ძირითადი მიზეზი და წარმოდგენს მათი სხვადასხვა ეროვნული კულტურებისადმი მიკუთვნების შედეგს.

პარტნიორის ღირებულებებისა და მისი ხალხის დისკურსული ქცევის თავისებურებების ცოდნა მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომუნიკაციის პროცესში, განაპირობებს ამ პროცესის წარმართვას პოზიტიურ ფარგლებში და სასურველი შედეგის მიღწევას. აღნიშნულთან დაკავშირებით შეგვიძლია მოვიყვანოთ უამრავი ნიმუში. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი „დაპატიება“ ქართულ რეალობაში, რაც შეიძლება დასავლური კულტურის წარმომადგენლისათვის კომუნიკაციური ზეწოლის ფაქტად იქნეს აღქმული, ვინაიდან მოსაუბრე გიწვევთ გარკვეული ქმედებებისაკენ არა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც ეს შეეფერება თხოვნას, არამედ თანამოსაუბრის (მსმენელის) ან ორივეს ინტერესებიდან გამომდინარე, რაც თითქოს გამართლებას წარმოადგენს მოლაპარაკის იმპერატიულობისათვის. დასავლურ, ინდივიდუალისტურ კულტურებში აღნიშნული მიზნით უპირატესად იხმარება არა პირდაპირი, არამედ ირიბი გამონათქვამი. რაც უფრო ირიბია გამონათქვამი, მით უფრო მაღალია მისი თავაზიანობის დონე.

შესაბამისად კომუნიკანტზე ზემოქმედებისა და იძულების შერბილება მიიღწევა არა მარტო იმპერატივების მაგივრად კითხვითი ფორმების ხმარებით, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოლაპარაკის ორიენტირებით არა თავის, არამედ თანამოსაუბრის ინტერესებზე.

ქართულ კომუნიკაციაში, პირიქით, მოწვევა ორიენტირებულია მოლაპარაკეზე („მე გაპატიებ“, „მე დაგელოდები“, „ძალიან მინდა რომ მოხვიდეთ“, „გთხოვთ პატივი მცეთ“ და ა. შ.). ამავე დროს იგი სრულიად არ ცდილობს შეასუსტოს მსმენელზე ზემოქმედების (ზეწოლის) ძალა, პირიქით, აძლიერებს რა მას, ამავე დროს ითვლება, რომ იზრდება ზრდილობის გამოვლენის დონე, რაც ინდივიდუალისტურ კულტურებში წარმოუდგენელია („აუცილებლად მოდი“, „უარს არ ვიღებ“, „უარი არ გამაგონო“, „არ უნდა ეხლა ამას ბევრი ლაპარაკი“, „ბევრს ნუ მალაპარაკებ“ და ა. შ.).

ამგვარად, თუკი ფრანგი კომუნიკანტი ყველა შესაძლებლობას იხმარდა, რომ შეესუსტებინა ზემოქმედება (ძალდატანება) მოსაუბრეზე, ქართველები პირიქით, აძლიერებენ ამ ზემოქმედების ინტენსივობას, რაც აქ თამაშობს არა დესტრუქციულ, არამედ პირიქით, კონსტრუქციულ როლს ურთიერთობებზე.

შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი, თუ დაახლოებით როგორ მიმართავს აუდიტორიას ჩინელი მომხსენებელი თავისი გამოსვლის დაწყებამდე: „სანამ დავიწყებდე ჩემს მოხსენებას, მინდა აღვნიშნო, რომ ჯერ კიდევ არ მაქვს საკმარის დრო შესწავლილი მოცემული პრობლემა. რასაც მოგახსენებთ ეს არის მხოლოდ წინასწარი და მეტნაკლებად ზედაპირული დაკვირვებების შედეგი, რომელიც შეიძლება მცდარიც აღმოჩნდეს. გთხოვთ კრიტიკულები იყოთ ჩემი მოხსენების მიმართ და ისე გამოთქვათ თქვენი აზრი“.

ევროპული და ამერიკული რიტორიკული ტრადიციისათვის აბსოლუტურად მიუღებელია ავტორისაგან წინასწარ ბოდიშის მოხდა იმის გამო რაც მას აქვს დაწერილი და რის მოხსენებასაც აპირებს, ასეთი განწყობით სჯობს საერთოდ არ გააკეთოს მოხსენება. ჩინეთში კი უცნაურად და არც თუ ისე თავაზიანად აღიქმება მაგალითად გერმანელების მანერა რომ ხუმრობით დაიწყონ მოხსენება, მოკლედ ჩამოთვალონ ძირითადი საკითხები და წარმოადგინონ მოკლე არგუმენტაცია. ამ შემთხვევაში აქტუალიზდება ჩინელების ქცევის საკმარის მნიშვნელოვანი პრინციპი: „მაქვს რა საშუალება, რომ გამოვიდე მოხსენებით თქვენს წინაშე, უკვე აღმოვჩნდი პრივილეგირებულ



თვითდენტიფიკაციის გზა. უცხოური ენებისა და კულტურების შესწავლა ობიექტურად იქცევა გლობალიზაციის პროცესებისადმი კულტურული დაპირისპირების საშუალებად.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Goffman E., Les rites d' interaction, Paris, Minuit, 1974.
2. Goffman E., Facons de parler, Paris, Minuit, 1987.
3. Gumperz J., Engager la conversation: introduction a la sociolinguistique interactionnelle, Paris, Minuit, 1989.
4. Todorov Tz., Le croisement des cultures, Communication 43: 5-24, 1986.
5. Бабаева Е.В. Лексические значения слова как способ выражения культурно-языкового концепта // Языковая личность: Культурные концепты. – Волгоград - Архангельск. 2002.
6. Водак Р. Язык. Дискурс. Политика. - Волгоград: Перемена, 2007.
7. Карасик В.И. Культурные доминанты в языке // Языковая личность: Культурные концепты. - Волгоград-Архангельск, 2002.

**მაია თევზაძე, ნინო სანაია**  
**კულტურათაშორისი კომუნიკაციის რიგ პრობლემათა აქტუალობა**  
**თანამედროვე სამყაროში**  
**რეზიუმე**

კულტურათაშორისი კომუნიკაციის პრობლემებისადმი განსაკუთრებული ინტერესი თანამედროვე სამყაროში განპირობებულია XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე კულტურათა დაახლოვებითა და ეროვნებათაშორისი თუ კულტურათაშორისი კონფლიქტების თავიდან აცილებაზე ზრუნვით. ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემები მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული ცნობიერების თემასთან. შესაბამისად, წარმოქმნილი უამრავი კულტურათაშორისი ბარიერის მიზეზი უნდა ვეძიოთ ნორმების, ფასეულობების, მსოფლმხედველობის განსხვავებებსა და ასევე მკვეთრად გამოხატულ ეთნოცენტრიზმში. აქედან გამომდინარე, კომუნიკაციური ქცევის თავისებურებების ცოდნა მისი ახსნის საშუალებას იძლევა და წარმოადგენს კომინიკაციური კომპეტენციის განუყოფელ ნაწილს.

**Maya Tevzadze, Nino Sanaia**  
**The Relevance of the Problems of Intercultural Communication in the Modern World**  
**Summary**

The interest towards the problems of intercultural communications in modern world is influenced by cultural convergence and an attempt to avoid intercultural and interethnic conflicts on the verge of XX-XXI centuries. The problem of interethnic relationships is related to the issue of national awareness. Therefore, we should look for the reasons for intercultural thresholds in differences between norms, values and outlooks, in addition in sharply expressed ethnocentrism as well. According to above mentioned, knowing the features of communicative behavior skills, gives the opportunity to explain such behavior and represents an integral part of communicative competence.

**Майя Тевзадзе, Нино Саная**  
**Актуальность ряда проблем межкультурной коммуникации в современном мире**  
**Резюме**

Особый интерес к проблемам межкультурной коммуникации в современном мире определяется сближением культур на рубеже XX-XXI веков и заботой о предотвращении межнациональных и межкультурных конфликтов. Проблемы межнациональных отношений тесно связаны с темой национального сознания. Соответственно, причиной множества барьеров, возникающих в процессе межкультурных контактов, являются различия норм, ценностей, мировоззрений, ярко выраженный этноцентризм.

Знание национальных особенностей коммуникативного поведения даёт ключ к объяснению данного поведения и представляет собой неотъемлемую часть коммуникативной компетенции.